შპს საქართველოს მელიორაცია
Georgian Amelioration LTD

N გ-2032
27/07/2017

2032-გ-2-201707271411

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ რეგიონულ ანალიტიკოსს

ქალბატონ თამარ მოდებაძეს

GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
წერილის რეგისტრაციის № 239
თარიღი: 28 07 2017 წ.

ქალბატონო თამარ,

თქვენი 10.07.2017 წ N310 წერილზე (კომპანიის N2088) გაცნობებთ:

- 2012-2017 წლებში ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასრულდა 4 და მიმდინარეობს 1 სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტი (ცხრილი #1).
- 2012 წელს ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი შეადგენდა 800 ჰექტარს. 2012-2016 წლებში განხორციელდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო 3 პროექტი და 1 ობიექტის (ჯოყოლოს არხი) კაპიტალური შეკეთება, შედეგად წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი გაიზარდა 430 ჰექტრით და შეადგინა 1230 ჰექტარი.
- 2017 წელს მიმდინარეობს სოფელ ოჟიოში # 38-ე გამანაწილებლის რეაბილიტაცია. სამუშაოების დასრულების შემდგომ, პროექტის მიხედვით, გამანაწილებელი არხის ზონაში მოქცეული 270 ჰექტარი სავარგული გადაყვანილი იქნება რეგულარული სარწყავი მიწების კატეგორიაში და ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალუზრუნველყოფილი მიწის საერთო ფართობი იქნება 1500 ჰექტარი.

დანართი: ცხრილი - 1 გვერდი.

პატივისცემით,

არჩილ ბუკია

გენერალური დირექტორი

0159 ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6 ტელ: (995 32) 2 001000

ცხრილი # 1

შპს „საქართველოს მელიორაცია“
ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2012-2017 წელს განხორციელებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტები

N	ობიექტის დასახელება	სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ლარი	განსახორციელებელი სამუშაოების მოკლე აღწერა	შედეგი
1	2	3	4	5
	2012 წელი			
1	ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის შეკეთება (დასრულებულია)	74317	სათავე ნაგებობის მარცხენა ბეტონის საყრდენი კედლის აღდგენა, შენობის სახურავის გადახურვა და ჩამკეტი ფარების ძირების დაბეტონება	ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი გაიზარდა 200 ჰექტრით
2	ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის მონაკვეთების დანალექისაგან გაწმენდა ახმეტის და თელავის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე (დასრულებულია)	170000	არხის მონაკვეთების დანალექისაგან გაწმენდა დასახლებული პუნქტების ზონაში ამოღებული გრუნტის გატანით	ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი გაიზარდა 200 ჰექტრით
	2013 წელი			
	ზემო ალაზნის სარწყავ სისტემაზე სოფელ მატანის N3 გვირაბის სარემონტო სამუშაოები (დასრულებულია)	56960	გვირაბის ჩამონგრეული თაღის და ძირის აღდგენა რკინა-ბეტონით	წყლის მიწოდების გაუმჯობესება ახმეტის, თელავისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე
	2016 წელი			
1	ჯოყოლოს არხის მონაკვეთის კაპ.შეკეთება (დასრულებულია)		წყალმიმღები კვანძის მოწყობა და არხის დანალექისაგან წმენდა	საორიენტაციოდ 30 ჰექტარი მიწის მორწყვის შესაძლებლობა
	2017 წელი			
1	ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის სოფელ ოჟიოს N38 გამანაწილებლების რეაბილიტაცია (სამუშაოები მიმდინარეობს)	48000	მილსადენის ახლით შეცვლა და წყალგამშვებების მოწყობა	გამანაწილებლის ზონაში მოქცეული საპროექტო 270 ჰა გადაყვანილი იქნება რეგულარული სარწყავი მიწების კატეგორიაში